რეგ. № _____ თარიღი: __ _____ __

(ივსება შპს „საქართველოს მელიორაციის“ ოპერატორის მიერ)

დანართი N6.
დამტკიცებულია სემეკის 2024 წლის 9 ივლისის N25/1
გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

შპს „საქართველოს მელიორაციას“

საირიგაციო სისტემაზე სტანდარტული პირობით დროებითი მიერთების შესახებ

(დანადგარების საირიგაციო, საყოფაცხოვრებო, სამშენებლო ან სარემონტო მიზნით გამოყენებისათვის ასევე, მოძრავი ან სეზონური ობიექტის ფუნქციონირებისათვის)

განმცხადებლის საყურადღებოდ!

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს აღნიშნული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს საირიგაციო სისტემასთან დროებითი მიერთება, მისი დანადგარების საირიგაციო, საყოფაცხოვრებო, სამშენებლო ან სარემონტო მიზნით გამოყენებისათვის, მოძრავი ან სეზონური ობიექტის ფუნქციონირებისათვის, ასევე, საერთო მიწოდების წერტილზე რეგისტრირებულ პირ(ებ)თან წყლის მიღებაზე ერთობლივი საქმიანობის შეუთანხმებლობის შემთხვევაში. დამატებითი წერტილიდან წყლის დროებითი მიწოდების საჭიროების შემთხვევაში, არსებული მომხმარებლის მიერ შესაძლოა ასევე მოთხოვნილ იქნეს დამატებით წერტილიდან დროებითი მიწოდება.

საირიგაციო სისტემასთან დროებითი მიერთება შეიძლება განხორციელდეს სტანდარტული (სრული ტექნოლოგიური ციკლით) ან არასტანდარტული პირობით (ტექნიკური პირობის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით).

მიმწოდებელი ვალდებულია განსაზღვროს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ღია და დახურული არხის საირიგაციო სისტემასთან დროებითი მიერთების სტანდარტული პირობები და მომსახურების ღირებულება, წყლის 0-150 მმ მილის დროებით მიერთებებზე, არსებული საირიგაციო სისტემიდან 50 მეტრის რადიუსში; ამასთან, მიმწოდებელი უფლებამოსილია, ასევე განსაზღვროს სტანდარტული პირობით დროებითი მიერთების ამ პუნქტისგან განსხვავებული სხვა პირობებიც

სტანდარტული პირობით დროებითი მიერთების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს, გარდა დროებითი მიერთების სამშენებლო ან სარემონტო მიზნით გამოყენების შემთხვევისა. ასეთ დროს სტანდარტული პირობით დროებითი მიერთების ვადა შეიძლება გაიზარდოს.

მიერთების მსურველი და მიმწოდებელი უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ დანადგარის საირიგაციო სისტემასთან მიერთების, გამოყენებისა და დარიცხვის მეთოდზე ინდივიდუალური აღრიცხვის გარეშე. ამ მეთოდით დარიცხვა ერთჯერადია და არ უნდა აღემატებოდეს 6 კალენდარულ თვეს.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებგვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216. კომისიისადმი მიმართვა ასევე შეგიძლიათ სსიპ „იუსტიციის სახლის“ მეშვეობით.

განაცხადის შევსების თარიღი „_____“„_____“ 20__ წელი;

განცხადების ადრესატი: შპს „საქართველოს მელიორაცია“;

I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

1. მიერთების მსურველი (განმცხადებლი):_____;

(სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის შემთხვევაში- სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____;

3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი:_____;

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე ან ელექტრონულ მისამართზე:

__-__-__-__-__-__ - ძირითადი;

(მობ. ნომერი)

__-__-__-__-__-__ - ალტერნატიული[1];

(მობ. ნომერი)

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ძირითადი;

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

[1] თუ განმცხადებელი ალტერნატიულ ნომერს არ მიუთითებს, განცხადება ამ მიზეზით არ უნდა დახარვეზდეს. ამასთან, განმცხადებელი პასუხისმგებელია აღნიშნულიდან გამომდინარე დამდგარ შედეგებზე.

II. საერთო ინფორმაცია

4. საირიგაციო სისტემასთან დროებითი მიერთების მიზნობრიობა (მონიშნეთ 4.1-4.5 პუნქტებიდან ერთი ან რამდენიმე):
   4.1. ☐ საყოფაცხოვრებო მიზნით;
   4.2. ☐ სამშენებლო ან სარემონტო მიზნით;
   4.3. ☐ მოძრავი (მათ შორის დასუფთავება-გამწვანების, კომერციული/საზოგადოებრივი) ან სეზონური ობიექტისთვის;
   4.4. ☐ საირიგაციო მიზნით, საერთო მიწოდების წერტილზე რეგისტრირებულ პირ(ებ)თან წყლის მიღებაზე ერთობლივი საქმიანობის შეუთანხმებლობის გამო;
   4.5. ☐ დამატებითი წერტილიდან, საირიგაციო მიზნით მომხმარებლის წყლით დროებით მომარაგებისთვის.
5. საირიგაციო წყლის მოხმარების მიზანი: ☐ პროფილური (საირიგაციო); ☐ არაპროფილური (არასაირიგაციო)[2];
6. პროფილური (მათ შორის საყოფაცხოვრებო) მიზნით მოხმარების შემთხვევაში, მიუთითეთ რწყვის მეთოდი:
   ☐ წვეთოვანი; ☐ დაწვიმებით; ☐ მოღვარვით; ან ☐ სხვა მეთოდით:_____;
7. არაპროფილური მომხმარებლის შემთხვევაში, მიუთითეთ რა მიზნით ხდება წყლის მოხმარება:____;
8. ივსება, უძრავი ქონების მომარაგების შემთხვევაში:
   8.1. დაზუსტებული ადგილი ან მისამართი სადაც უნდა მოხდეს საირიგაციო წყლით მომარაგება/გამოყენება:_____;
   8.2. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):_____;
   8.3. საკადასტრო კოდის არარსებობის შემთხვევაში, მიწის აზომვითი ნახაზი თანდართულია განაცხადზე:
   ☐ დიახ; ან ☐ მიწის ნაკვეთი მიმწოდებლის მიერ იდენტიფიცირებულია ადგილზე, და მისი ნომერი: N:_____;
9. დროებითი მიერთების პერიოდი „ “ „ “ 20 ; წ. - დან „ “ „ “ 20 ; წ. -მდე.

შენიშვნა: სტანდარტული პირობით დროებითი მიერთების (სარგებლობის) ვადა: არაუმეტეს 12 თვე. გარდა დროებითი მიერთების სამშენებლო ან სარემონტო მიზნით გამოყენების შემთხვევისა, რაც შესაძლოა იყოს სამუშაოების ვადით და შესაძლებელია გაიზარდოს. ამასთან თუ დარიცხვა პირობითია - პირობითი დარიცხვის მეთოდით, ერთჯერადი დარიცხვა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

III. მოთხოვნილი მისაერთებელი პარამეტრები

10. დროებითი მიერთებისთვის მოთხოვნილია (მონიშნეთ 10.1-10.3 პუნქტებიდან ერთი ან რამდენიმე):

10.1. ☐ **არსებულ საირიგაციო სისტემაზე, მხოლოდ მიწოდების წერტილის მოწყობა (მხოლოდ წყალაღება) ცხრილი N1-ში მითითებული პარამეტრებით - მონიშვნის შემთხვევაში, ასევე შეავსეთ ცხრილი N1:**

ცხრილი N1. მიწოდების წერტილის მოწყობის კოორდინატები და პარამეტრები		
☐ **არსებულ დახურულ სისტემაზე**		
╳	მოსაწყობი მიწოდების წერტილის (GPS) კოორდინატები	მოთხოვნილი დიამეტრი (მმ)
1.		
2.		
3.		
☐ **არსებულ ღია არხზე**		
╳	მოსაწყობი მიწოდების წერტილის (GPS) კოორდინატები	მოთხოვნილი დიამეტრი/კვეთი - რომელზეც კომისიის მიერ დადგენილია შესაბამისი საფასური (მმ/სმ²)
1.		
2.		
3.		

10.1.1. დროებითი მიწოდების წერტილ(ებ)ის რაოდენობა:___;
10.1.2. დროებითი მიწოდების წერტილ(ებ)ის მოწყობის სრული საფასური:_____ ლარი.

10.2. ☐ **ობიექტთან დროებითი მიწოდების წერტილის მოწყობასთან ერთად, სტანდარტული პირობით (მიმწოდებლის მიერ საჯაროდ შეთავაზებული პირობით) ობიექტამდე წყლის მიწოდებით - მონიშვნის შემთხვევაში, ასევე შეავსეთ ცხრილი N2 ან/და N3:**

---

[2] მიმწოდებელი უფლებამოსილია განაცხადზე დაადგინოს ხარვეზი, თუ არაპროფილური მომხმარებლის მიერთების შედეგად აშკარად შეექმნება საფრთხე პროფილურ მომხმარებელს წყლით მომარაგებაში. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ მისაერთებელი ობიექტის მიერ მისაღების წყლის მოცულობის შემცირების და ტექნიკური პარამეტრების ცვლილების მიუხედავად შეუძლებელი იქნება მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება პროფილურ მომხმარებლისთვის წყლით მომარაგების აშკარად საფრთხის შექმნის გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია მიმართოს კომისიას შესაბამის საირიგაციო სისტემის წყლის მიწოდების არეალზე ახალი ობიექტის მიერთების აკრძალვის პირობების განსაზღვრის მოთხოვნით.

10.2.1. ☐ დახურული საირიგაციო ქსელის მშენებლობა და ამ დროებითი მომარაგებისთვის მოწყობილ ქსელზე ცხრილი N2-ში მითითებული პარამეტრებით მიწოდების წერტილ(ებ)ის მოწყობა:

ცხრილი N2. მიწოდების წერტილის მოწყობის კოორდინატები და პარამეტრები		
	მოსაწყობი მიწოდების წერტილის (GPS) კოორდინატები	მოთხოვნილი დიამეტრი (მმ)
1.		
2.		
3.		

10.2.1.1. დროებითი მიწოდების წერტილ(ებ)ის რაოდენობა:__;

10.2.1.2. დროებითი მიწოდების წერტილ(ებ)ის მოწყობის სრული საფასური:_____ ლარი;

10.2.2. ☐ ღია საირიგაციო ქსელის (არხის) მშენებლობა და ამ დროებითი მომარაგებისთვის მოწყობილ ქსელზე (არხზე) ცხრილი N3-ში მითითებული პარამეტრებით მიწოდების წერტილ(ებ)ის მოწყობა:

ცხრილი N3. მიწოდების წერტილის მოწყობის კოორდინატები და პარამეტრები		
	მოსაწყობი მიწოდების წერტილის (GPS) კოორდინატები	მოთხოვნილი დიამეტრი/კვეთი - რომელზეც კომისიის მიერ დადგენილია შესაბამისი საფასური (მმ/სმ^2)
1.		
2.		
3.		

10.2.2.1. მიწოდების წერტილ(ებ)ის რაოდენობა:_____;

10.2.2.2. მიწოდების წერტილ(ებ)ის მოწყობის სრული საფასური:_____ ლარი;

10.3. ☐ **ავზით, მათ შორის წყალმზიდით წყალაღება (კონკრეტული მოცულობით-ზუსტი აღრიცხვით) - მონიშვნის შემთხვევაში, ასევე შეავსეთ ცხრილი N4:**

ცხრილი N4. წყალაღების წერტილის კოორდინატები და წყლის მოცულობები თვეების მიხედვით						
წყალაღების წერტილი (GPS) კოორდინატები:_____. **საირიგაციო სისტემის დასახელება:**_____.						
თვე	N1 ავზის / წყალმზიდის ტევადობა (მ^3)	წყალაღების დღეების რაოდენობა (თვეში)	ავზის / წყალმზიდის შევსების რაოდენობა დღის განმავლობაში	N2 ავზის / წყალმზიდის ტევადობა (მ^3)	წყალაღების დღეების რაოდენობა (თვეში)	ავზის / წყალმზიდის შევსების რაოდენობა დღის განმავლობაში
იანვარი						
თებერვალი						
მარტი						
აპრილი						
მაისი						
ივნისი						
ივლისი						
აგვისტო						
სექტემბერი						
ოქტომბერი						
ნოემბერი						
დეკემბერი						

10.3.1. ამ განაცხადის 10.3. პუნქტში დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, მოხმარებული წყლის საფასურის დარიცხვა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად წესების დაცვით, ამ პუნქტის შესაბამის ცხრილში მითითებული მონაცემებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გათვალისწინებით.

IV. მოხმარებული წყლის საფასურის დარიცხვა

11. მოხმარებული წყლის საფასურის დარიცხვა განხორციელდება:

11.1. ☐ ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძის მეშვეობით;

11.2. ☐ პირობითი დარიცხვით, დღის განმავლობაში წყლით სარგებლობის პერიოდით, შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

11.2.1. დანადგარი/ხელსაწყო:_____; და მისი გამტარუნარიანობა:_____მ^3;

11.2.2. დღის განმავლობაში დანადგარის გამოყენების პერიოდი:_____ სთ;

11.3. ☐ ავზით, მათ შორის წყალმზიდით წყალაღების შემთხვევაში, ამ განაცხადის 10.3-ში მოცემული დანართი N4-ის მონაცემების შესაბამისად.

შენიშვნა: სტანდარტული პირობით დროებითი მიერთება არაუმეტეს 12 თვეს (რაც შეიძლება გაგრძელდეს) ხოლო პირობითი დარიცხვის მეთოდით ერთჯერადი დარიცხვა არაუმეტეს 6 თვეს.

V. ძირითადი მოთხოვნა:

12. გთხოვთ, წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გამიწიოთ საირიგაციო სისტემაზე ობიექტის დროებითი მიერთებისთვის/დროებითი წყალაღებისთვის საჭირო მომსახურება.
13. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

VI. დამატებითი ინფორმაცია:

14. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ამ განაცხადზე შეტყობინების გაგზავნის ფორმა:
    ☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.
15. განაცხადში მოცემული ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი გამოყენებულ იქნეს საირიგაციო წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: ☐ დიახ, ან ☐ არა;

VII. თანდართული დოკუმენტაცია:

16. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ, საირიგაციო სისტემაზე სტანდარტული პირობით მიერთების მომსახურებისთვის საჯაროდ შეთავაზებული სტანდარტული პირობა (სურვილის შემთხვევაში) ☐;
17. მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ☐;
18. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში):__☐;
19. დანართი სულ:_____ფურცელი ☐.

ხელმომწერის:
სახელი, გვარი:_____;
ხელმოწერა:_____.